ხელშეკრულება №13/12/2

ქ. თბილისი

13 დეკემბერი 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“, წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის **ნინო ნახუცრიშვილის** სახით (შემდგომ- „შემსყიდველი”) და მეორე მხრივ **შპს „ტიტანი“**-ის დირექტორის **რომან სულაძის** სახით (შემდგომ-„მიმწოდებელი”), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას გადასცეს „შემსყიდველს” 16 ცალი (1ცალის ფასი- 95 ლარი) საორკესტრო ნოტების სადგამები (პიუპიტრები) (CPV-37321700) (შემდგომ-„საქონელი“). (დაფინანსების წყარო – საკუთარი სახსრები)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **1520 (ერთი ათას ხუთას ოცი)** ლარი.

3. შესყიდვის საქონლის ხარისხი

3.1. „მიმწოდებელი” ვალდებულია „შემსყიდველს” გადასცეს ისეთი „საქონელი“, რომელიც შეესაბამება საქართველოში მოქმედ ხარისხის ნორმებს და სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარების წესი

4.1. შესასყიდი „საქონლის“ მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

5.1. „საქონელი” მოწოდებულ უნდა იქნას არაუგვიანეს 2016 წლის 17 დეკემბრისა.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. „საქონლის” ღირებულების ანაზღაურება ხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.2 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან “ განხორციელდება ლარებში.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება – ჩაბარების” აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

7.1. „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

7.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.4. „შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული „საქონლის" ღირებულება.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

9.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

10. ხელშეკრულების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 20 თებერვლამდე.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

11.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

11.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. „მიმწოდებლის" მიერ „საქონელზე" ფასების შეცვლის შემთხვევაში საკითხი გადაწყდება მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13. დავა

13.1 მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
13.2 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.
14.2. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი"
მის.: თბილისი. დ. აღმაშენებლის გამზ. №182
საიდენტ. კოდი 205065196
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინა
მიმ. დას.-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TREGE22
ა/ა 7 0808 7162

გენერალური მენეჯერი
.. ..
ნინო ნახუცრიშვილი

„მიმწოდებელი"

შპს „ტიტანი"

მის.: თბილისი. ათონელის ქ. №29
საიდენტ. კოდი 204393218
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ბანკი ქართუ"
ბანკის კოდი: CRTUGE22
ა/ა GE54CR0000000003263602

დირექტორი
.. ..
რომან სულამე